19 DECEMBRIE
RUGĂCIUNEA
SF.MUCENIC BONIFATIE DE LA ROMA

სავედრებელი ლოცვა

ჰოი, ყოვლად დიდებულო მოწამეო ბონიფანტე! ევედრე ქრისტესა ღმერთსა, რაითა მოგვიტევოს შეცოდებანი ჩუენნი, და არა განაშოროს მოწყალებაი თვისი შვილთაგან თვისთა, არამედ მოგუცეს ძალი და მადლი კეთილად და ჯეროვნად ვემსახუროთ წმიდასა ეკლესიასა და ერსა.

ჰოი ღუაწლითშემოსილო, მხნეო მოწამეო ბონიფანტე! მვედრებელთა შენთა მსწრაფლ-შემწეო და ჭირთა შინა ურცხვენელო ხელის აღმპყრობელო, ნუ უგულებელს-ყოფ გალობასა მსწრაფლ შენდამი მოლტოლვილთასა, არამედ მოიხილე ჩუენ ზედა სიტკბოებითა და მემთრვალეობისა სასტიკითა სენითა შეპყრობილნი და ვნებათა ბილწებითა
წარტაცებულნი *(სახელები)* აღმოიტაცე სიღრმეთაგან დაღუპვისაითა, რაითა შეეხოს მათ განმაცხოველებელი მოქმედებაი სულისა წმიდისაი და ელტვოდეს გონებისა და ცნობის მიმხდელთა ჩუეულებათა. დაიფარე ბოროტისა ხრიკებისა და ყოვლისაგან მზაკუვარებისა მტერისაითა და დღისითა და ღამით დაიცევ ბრძოლათაგან ეშმაკისაითა. მიითუალე სულთქუმაი და ნაკადული ცრემლთაი დედათაი და დათაი, პატიოსანთა მეუღლეთაი, ქმართა ზედა თვისთა მგოდებელთაი და ყრმათა შეჭირვებულთაი, და ყოველთა წინაშე ხატისა შენისა მვედრებელთა მართლმორწმუნეთა ქრისტეანეთაი, რაითა ლოცვაი ჩუენი ლმობიერი შეწირულ იქმნას წინაშე ღმრთისა, რომელი უბოძებს ყოველთა მვედრებელთა მისთა ხსნასა სულისა და ხორცისასა. მრავალშემძლებელითა ძალითა შენითა განაძლიერე უწმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის

მთავარეპისკოპოსი და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი მამაი ჩვენი ილია, ყოვლადსამღდელონი მიტროპოლიტნი, მთავარეპისკოპოსნი და ეპისკოპოსნი და ყოველნი სამღდელონი და სამონოზნო წესნი, მხედართმთავარნი და ქალაქმთავარნი, ქრისტესმოყუარე მხედრობანი, და კეთილისმყოფელნი ჩუენნი, და ყოველნი მართლმადიდებელნი ქრისტეანენი. ევედრე, ყოვლად ქებულო მარტვილო, შენგან შეყუარებულსა ტკბილსა იესუს, რაითა შეგვინდოს განდგომილებანი, ეკლესიათა ნგრევა-შეგინებანი, ღმრთისმსახურთა მკვლელობანი, ღალატი, შური და უწესობანი, საშოსა შინა ჩვილთა ჩუენთა კვლანი და სხვანიცა შეცოდებათა ჩუენთა სიმრავლენი.

ჰოი, ძლევით გვირგვინოსანო მოწამეო ბონიფანტე! ვითარცა გაქუს კადნიერებაი დიდი, იმეოხენ წინაშე ღმრთისა, რაითა მოჰმადლოს ეკლესიათა დიდებაი, სამღდელოთა პატიოსნებაი, მთავართა კეთილად მწყსაი ერისაი, მხედართა მამაცობაი, ერისაგანთა უცოდველობაი და დედათა კრძალულებაი, ხოლო ჩუენ აღგვიდგინოს ღმრთისმოსაობაი, სიმართლისმოყუარებაი, მრავალშვილიანობაი, და ქვრივ-ობოლთა შეწყალებაი. მოგვანიჭოს სიწმიდით ცხორებისა სიყუარული, უჯეროთა საქმეთა სიძულვილი და გულისა შემუსრვილებაი, წმიდათა თანა გვირგვინოსნებაი და ცათა სასუფეველისა დამკვიდრებაი, რაითა ჩუენცა შენ თანა ვადიდებდეთ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ.